



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ზვიად ბერიძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრ(ებ)ი:

მარიამ ჭყონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ნინო ფორჩხიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ლალი ლალიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

სოფიო თავაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);

საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);

ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I.

შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება
- ☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- ☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ გეგმიური

☐ არაგეგმიური

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	412725573

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ქუთაისი
ფაქტობრივი მისამართი	საქართველო, ქუთაისი, ბუხაიძის ქ.N9
საფოსტო ინდექსი	6400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	mtschoo.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@mtschoo.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	+995 574 24 68 68

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება MES 9 24 0001384859 28/10/2024 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	4 და 5 ნოემბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 28 ოქტომბრის MES MES 9 24 0001384859 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა ა.წ. 4 და 5 ნომერს განვახორციელეთ გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლაში, მის. ქ.ქუთაისი, ბუხაიძის ქ., №9.

გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა, ავტორიზაციის პირობების შესაბამისობის შეფასება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან.

ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში გაესაუბრნენ საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს, ასევე ხარისხის ექსპერტების მიერ ჩატარდა ინტერვიუება, სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან.

ინტერვიუებისას ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია ავტორიზაციის სტანდარტთან დაკავშირებით.

დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა, ინტერვიუება ჩაატარა, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან.

წარმოების ფარგლებში საგნობრივმა ექსპერტებმა სხვა საკითხებთან ერთად, შეისწავლეს სასწავლო პროცესში გამოყენებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები, ასევე, პედაგოგების კვალიფიკაციის შესაბამისობა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნული განხორციელდა ინტერვიუების, თანამშრომელთა პირადი საქმეების, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (EMIS) პედაგოგების პორტირებული მონაცემების განხილვის, სასწავლო რესურსის შეფასების საფუძველზე.

დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა, სხვა საგნობრივ (სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან), ექსპერტებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებს გაუკეთა რევიზია, მისი მიგნებები აისახა საგნობრივი ექსპერტების საბოლოო შეფასებაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
900	892

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლამ (შემდგომში - სკოლა) 2024 წლის 03 დეკემბრის N04/489 კორესპონდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში-ავტორიზაციის დებულება) 27-ე მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა, არგუმენტირებული პოზიციის, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის და ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებების შეფასების შედეგად დაადგინა შემდეგი:

ინდიკატორი N1.1.1.3. ინდიკატორი N1.2.1.3. ინდიკატორი N1.2.1.4. ინდიკატორი N3.1.1.1. ინდიკატორი N3.1.1.2. ინდიკატორი N3.1.2.1. ინდიკატორი N3.1.2.3. ინდიკატორი N3.3.2.2. ინდიკატორი N3.6.3.5. ინდიკატორი N4.1.1.1. და ინდიკატორი N4.1.2.1.

დაწყებითი საფეხური: ინდიკატორი 2.1.1.4 ინდიკატორი 2.1.2.1

საბაზო საფეხური: ინდიკატორი 2.1.1.4 ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2

საშუალო საფეხური: ინდიკატორი 2.1.1.4 ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2

აღნიშნულ ინდიკატორებთან დაკავშირებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ გაზიარებული იქნა და შეფასდა როგორც - „შეესაბამება“

ინდიკატორი N3.4.1.1. ინდიკატორი N3.4.1.3. და ინდიკატორი N3.6.2.2. მიმართ შეიცვალა შეფასება და შეფასდა როგორც - „მეტწილად შეესაბამება“

ინდიკატორი N3.1.2.4. - დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზი - სკოლას მოწვეულ მასწავლებლად შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულები ჰყავს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ხელოვნების და ჭადრაკის პედაგოგები რომელთაც აქვთ 9 საგაკვეთილო საათზე მეტი კვირეული დატვირთვა, რაც წინააღმდეგობაში მოდის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ9“ პუნქტთან. აღნიშნული პედაგოგიური პერსონალის დადგენილ ნორმაზე მეტით საათობრივი დატვირთვა არ მოდის შესაბამისობაში, მათ კვალიფიკაციასთან.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის და ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებების თანახმად, მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა შემცირდა ცხრა საათამდე, ამასთან სკოლამ ღია კონკურსის შედეგების საფუძველზე შეარჩია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლები.

სკოლას არ წარმოდგენია კონკურსის წესით შერჩეული პედაგოგების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზი ეხება წარსულში მომხდარ ფაქტს, დამდგარ შედეგს, შესაბამისად სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობა ვერ ჩაითვლება ხარვეზის აღმოფხვრის გზად. მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე - მონიტორინგის ფარგლებში ინდიკატორი N3.1.2.4. - ის მიმართ დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრა სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით და განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებებით ვერ ჩაითვლება.

ინდიკატორი N3.4.1.4. - დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზი - სკოლის მიერ არ არის შემუშავებული ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმების შესახებ, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართულებების (რეფერირების) პროცედურების“ მე-6 მუხლის მე-7 პუნქტთან.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაში მოცემული ინფორმაციის თანახმად - ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სკოლამ შეიმუშავა სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებულ შიდა ინსტრუქციას ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით. სკოლას ასევე განხორციელებული აქვს ბულინგთან დაკავშირებული კვლევა საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან.

სკოლის მიერ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტი (2024 წლის 28 ნოემბრის N 2-470 ბრძანებით დამტკიცებული - სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“.) არ არის შესაბამისობაში საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართულებების (რეფერირების) პროცედურების“ დადგენილ მოთხოვნებთან. მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე - მონიტორინგის ფარგლებში ინდიკატორი N3.4.1.4. - ის მიმართ დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრა სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით და განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებებით ვერ ჩაითვლება.

ინდიკატორი N4.2.4.1. - დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზი - სკოლა კვების სერვისს ახორციელებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები“-ს დარღვევით, კერძოდ , სკოლას არ წარმოუდგენია

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის/ინსპექტირების აქტები.

იჯარის ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, აკრძალვა იმის თაობაზე თუ მეიჯარემ რა სახის სურსათის სახეობების რეალიზაცია არ უნდა განახორციელოს კვების ობიექტში.

სკოლას არ წარმოუდგენია კვების ობიექტის საქმიანობის შიდა მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება და განხორციელებული მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა განახლებული საიჯარო ხელშეკრულება და კვების ობიექტის საქმიანობის შიდა მონიტორინგის მასალები, სკოლას არ წარმოუდგენია - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის/ინსპექტირების აქტები. მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე - მონიტორინგის ფარგლებში ინდიკატორი N4.2.4.1. - ის მიმართ დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრა სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით და განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებებით ვერ ჩაითვლება.

ინდიკატორი N4.2.4.2. - დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზი - სკოლას მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება სატრანსპორტო მომსახურების გაწევის წესისა და პირობების შესახებ.

სკოლას მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება გახანგრძლივებული სწავლების მომსახურების გაწევის წესისა და პირობების შესახებ.

მოცემული ფაქტობრივი გარემოებების გამო, დარღვეულია სტანდარტის ინდიკატორით დადგენილი მოთხოვნა, რომლის თანახმადაც სკოლა ვალდებულია მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით განახორციელოს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაში მოცემული ინფორმაციის თანახმად - სკოლას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება მძღოლთან, რომელიც ახორციელებს სატრანსპორტო მომსახურების გაწევას. საჭიროების შემთხვევაში არაფორმალურ, არასასკოლო გარემოში აქტივობების განხორციელებისას მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის, აგრეთვე შემოქმედებითი და კვლევითი ექსკურსიების დროს.

სკოლას შესაბამისობის გეგმასთან ერთად არ წარმოდგენია:

ა) მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება სატრანსპორტო მომსახურების გაწევის წესისა და პირობების შესახებ.

ბ) მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება გახანგრძლივებული სწავლების მომსახურების გაწევის წესისა და პირობების შესახებ. (წარმოდგენილია ერთი ხელშეკრულების ფრაგმენტი).

მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე - მონიტორინგის ფარგლებში ინდიკატორი N4.2.4.2. - ის მიმართ დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრა სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით და განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებებით ვერ ჩაითვლება.

ინდიკატორი N4.2.4.3. - დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზი - სკოლაში კვების ობიექტი ფუნქციონირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები“-ს დარღვევით, სატრანსპორტო და გახანგრძლივებული სწავლების მომსახურება ხორციელდება მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესისა და პირობების გარეშე, აღნიშნული გარემოებების გამო არსებობს მომეტებული რისკი უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დარღვევის.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაში მოცემული ინფორმაციის თანახმად - ა) სკოლის მძღოლი, რომელიც ახორციელებს სატრანსპორტო მომსახურების გაწევას. საჭიროების შემთხვევაში არაფორმალურ, არასასკოლო გარემოში აქტივობების განხორციელებისას მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის, აგრეთვე შემოქმედებითი და კვლევითი ექსკურსიების დროს. ბ) სკოლამ გახანგრძლივებული სწავლების მსურველ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მშობლებთან გააფორმა ხელშეკრულება დამატებითი არასავალდებულო მომსახურების ფარგლებში.

სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმასთან ერთად არ არის წარმოდგენილი:

ა) მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება სატრანსპორტო მომსახურების გაწევის წესისა და პირობების შესახებ.

ბ) მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება გახანგრძლივებული სწავლების მომსახურების გაწევის წესისა და პირობების შესახებ. (წარმოდგენილია ერთი ხელშეკრულების ფრაგმენტი).

მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე - მონიტორინგის ფარგლებში ინდიკატორი N4.2.4.3. - ის მიმართ დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრა სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით და განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებებით ვერ ჩაითვლება.

დაწყებითი საფეხური ინდიკატორი 2.2.2.4 - დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზი - ფიზიკურ აღზრდას და სპორტს ასწავლის მოწვეული მასწავლებელი, რომლის საათობრივი დატვირთვა აღემატება 9 საგაკვეთილო საათს.

ჰადრაკს I-IV კლასებში ასწავლის მოწვეული მასწავლებელი, რომლის საათობრივი დატვირთვა აღემატება 9 საგაკვეთილო საათს.

ესთეტიკური აღზრდა სახვით და გამოყენებით ხელოვნებას დაწებით საფეხურზე ასწავლის მოწვეული მასწავლებელი რომლის საათობრივი დატვირთვა აღემატება 9 საგაკვეთილო საათს.

აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან, კერძოდ -მოწვეული მასწავლებელია – პირი (გარდა უცხოელი მოწვეული მასწავლებლისა), რომელიც მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვის გარეშე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ან გაუთვალისწინებელ საგანს, რომლის სამუშაო დატვირთვაა არაუმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50 პროცენტისა და რომელსაც აქვს შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კომპეტენცია ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;

მოწვეული მასწავლებელს, მისი კვალიფიკაციის გათვალისწინებით არ ეძლევა უფლება, რომ მას ჰქონდეს 9 საგაკვეთილო საათზე მეტი დატვირთვა. შესაბამისად ირღვევა 2.2.2.4 - ინდიკატორი

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის და ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებების თანახმად, მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა შემცირდა ცხრა საათამდე, ამასთან სკოლამ ღია კონკურსის შედეგების საფუძველზე შეარჩია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლები.

სკოლას არ წარმოუდგენია კონკურსის წესით შერჩეული პედაგოგების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზი ეხება წარსულში მომხდარ ფაქტს, დამდგარ შედეგს, შესაბამისად სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობა ვერ ჩაითვლება ხარვეზის აღმოფხვრის გზად. მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე - მონიტორინგის ფარგლებში ინდიკატორი N2.2.2.4. - ის მიმართ დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრა სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით და განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებებით ვერ ჩაითვლება.

საბაზო საფეხური: ინდიკატორი 2.2.2.4 - დასკვნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზი - ესთეტიკური აღზრდა - სახვით და გამოყენებით ხელოვნებას საბაზო საფეხურზე ასწავლის მოწვეული მასწავლებელი რომლის საათობრივი დატვირთვა აღემატება 9 საგაკვეთილო საათს. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან, კერძოდ -მოწვეული მასწავლებელია - პირი (გარდა უცხოელი მოწვეული მასწავლებლისა), რომელიც მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვის გარეშე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ან გაუთვალისწინებელ საგანს, რომლის სამუშაო დატვირთვაა არაუმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50 პროცენტისა და რომელსაც აქვს შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კომპეტენცია ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;

მოწვეული მასწავლებელს, მისი კვალიფიკაციის გათვალისწინებით არ ეძლევა უფლება, რომ მას ჰქონდეს 9 საგაკვეთილო საათზე მეტი დატვირთვა. შესაბამისად ირღვევა 2.2.2.4 - ინდიკატორი

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის და ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებების თანახმად, მოწვეული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შემცირდა ცხრა საათამდე, ამასთან სკოლამ ღია კონკურსის შედეგების საფუძველზე შეარჩია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი.

სკოლას არ წარმოდგენია კონკურსის წესით შერჩეული პედაგოგის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზი ეხება წარსულში მომხდარ ფაქტს, დამდგარ შედეგს, შესაბამისად სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობა ვერ ჩაითვლება ხარვეზის აღმოფხვრის გზად. მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე - მონიტორინგის ფარგლებში ინდიკატორი N2.2.2.4. - ის მიმართ დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრა სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით და განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებებით ვერ ჩაითვლება.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.	სკოლას მოწვეულ მასწავლებლად შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულები ჰყავდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ხელოვნების და ჭადრაკის პედაგოგები რომელთაც ჰქონდათ 9 საგაკვეთილო საათზე მეტი კვირეული დატვირთვა, რაც წინააღმდეგობაში მოდის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ9“ პუნქტთან. აღნიშნული პედაგოგიური პერსონალის დადგენილ ნორმაზე მეტით საათობრივი დატვირთვა არ მოდის შესაბამისობაში, მათ კვალიფიკაციასთან.
ინდიკატორი N3.4.1.4.	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.	სკოლის მიერ არ არის შემუშავებული ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმების შესახებ, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ მე-6 მუხლის მე-7 პუნქტთან.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N4.2.4.1.	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით	სკოლა კვების სერვისს ახორციელებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები“-ს დარღვევით, კერძოდ , სკოლას არ წარმოუდგენია

	მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის/ინსპექტირების აქტები.
ინდიკატორი N4.2.4.2.	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.	სკოლას მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება სატრანსპორტო მომსახურების გაწევის წესისა და პირობების შესახებ. სკოლას მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება გახანგრძლივებული სწავლების მომსახურების გაწევის წესისა და პირობების შესახებ. მოცემული ფაქტობრივი გარემოებების გამო, დარღვეულია სტანდარტის ინდიკატორით დადგენილი მოთხოვნა, რომლის თანახმადაც სკოლა ვალდებულია მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით განხორციელოს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა.
ინდიკატორი N4.2.4.3.	შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.	სკოლაში კვების ობიექტი ფუნქციონირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 04 ნოემბრის MES 5 23 0001601881 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნები“-ს დარღვევით, სატრანსპორტო და გახანგრძლივებული სწავლების მომსახურება ხორციელდება მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესისა და პირობების გარეშე, აღნიშნული გარემოებების გამო არსებობს მომეტებული რისკი უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დარღვევის.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	ხარვეზი
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	ფიზიკურ აღზრდას და სპორტს ასწავლიდა მოწვეული მასწავლებელი, რომლის საათობრივი დატვირთვა აღემატებოდა 9 საგაკვეთილო საათს. ჭადრაკს I-IV კლასებში ასწავლიდა მოწვეული მასწავლებელი, რომლის საათობრივი დატვირთვა აღემატებოდა 9 საგაკვეთილო საათს. ესთეტიკური აღზრდა სახვით და გამოყენებით ხელოვნებას დაწებით საფეხურზე ასწავლიდა მოწვეული მასწავლებელი რომლის საათობრივი დატვირთვა აღემატებოდა 9 საგაკვეთილო საათს. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან, კერძოდ - მოწვეული მასწავლებელია - პირი (გარდა უცხოელი მოწვეული მასწავლებლისა), რომელიც მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვის გარეშე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ან გაუთვალისწინებელ საგანს, რომლის სამუშაო დატვირთვაა არაუმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50 პროცენტისა და რომელსაც აქვს შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კომპეტენცია ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;

		მოწვეული მასწავლებელს, მისი კვალიფიკაციის გათვალისწინებით არ ეძლევა უფლება, რომ მას ჰქონდეს 9 საგაკვეთილო საათზე მეტი დატვირთვა. შესაბამისად დაირღვა 2.2.2.4 - ინდიკატორი
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	ხარვეზი
ინდიკატორი 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობით მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	ესთეტიკური აღზრდა - სახვით და გამოყენებით ხელოვნებას საბაზო საფეხურზე ასწავლიდა მოწვეული მასწავლებელი რომლის საათობრივი დატვირთვა აღემატებოდა 9 საგაკვეთილო საათს. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან, კერძოდ -მოწვეული მასწავლებელია – პირი (გარდა უცხოელი მოწვეული მასწავლებლისა), რომელიც მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვის გარეშე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ან გაუთვალისწინებელ საგანს, რომლის სამუშაო დატვირთვაა არაუმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50 პროცენტისა და რომელსაც აქვს შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კომპეტენცია ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება; მოწვეული მასწავლებელს, მისი კვალიფიკაციის გათვალისწინებით არ ეძლევა უფლება, რომ მას ჰქონდეს 9 საგაკვეთილო საათზე მეტი დატვირთვა. შესაბამისად დაირღვა 2.2.2.4 - ინდიკატორი

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)¹

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში).	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.12.2024 წ.) უზრუნველყოფს: ა) უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ბ) უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების შეთანხმება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა)

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N3.4.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.12.2024 წ) უზრუნველყოს: უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმება, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცება და თანმდევი სათანადო ღონისძიებების განხორციელება.
ინდიკატორი N3.6.2.2.	სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.12.2024 წ) უზრუნველყოს: დოკუმენტბრუნვის (საქმისწარმოების) ელექტრონული სისტემის დანერგვა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.	სკოლას მიეცა რჩევა სათანადოდ შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები (SWOT ანალიზი) , გაანალიზოს გარემო შესაძლებლობები, იცოდეს რა საფრთხეები ემუქრება, რათა ადეკვატურად იქნეს განსაზღვრული ორგანიზაციის შესაძლებლობები და არსებული გამოწვევების საპასუხოდ დაგეგმილი იქნას სათანადო ღონისძიებები.
ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლას მიეცა რჩევა მკაფიოდ განსაზღვროს ის ობიექტური გარემოებები, რომელიც დაადასტურებს, სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევას, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგების სათანადო შეფასებას.
ინდიკატორი N1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ეფექტიანობისთვის მეთოდოლოგიით დადგენილ წესით განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგი და შეფასება. <i>სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების შედეგები უკეთ წარმოაჩენს დაგეგმვის პროცესის ხარისხს, არსებულ გამოწვევებსა და ნაკლოვანებებს.</i>
ინდიკატორი N3.1.2.1.	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების	სკოლას მიეცა რჩევა შრომით ხელშეკრულებით მკაფიოდ განსაზღვროს მხარეთა უფლება-მოვალეობები, შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შრომის შინაგანაწესი

	მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	განსაზღვროს შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, დასაქმებულების ხელწერილით დაადასტუროს შრომის შინაგანაწესი გაცნობის ფაქტი, ხოლო შემდეგ მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.
ინდიკატორი N3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;	სკოლას მიეცა რჩევა უფრო მეტად შეუწყოს ხელი და შექმნას შესაბამისი პირობები სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის. აღსანიშნავია, რომ სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხის მნიშვნელობა ხაზგასმულია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტში, რომლის მიხედვით, ყველა სტატუსის მასწავლებლის მოვალეობაა კოლეგებთან თანამშრომლობა თვითგანვითარებისა და ურთიერთგანვითარების მიზნით, მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორი N3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;	სკოლას მიეცა რჩევა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელებასა და შეფასების პროცესებში ჩართოს ყველა დაინტერესებული მხარე, მაღალი ჩართულობა გაზრდის მიმდინარე პროცესების საჯაროობას, ეფექტიანობას და შედეგზე ორიენტირებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სკოლის ინსტიტუციურ განვითარებას.
ინდიკატორი N3.3.1.4.	სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.	სკოლას მიეცა რჩევა, დანერგოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დამატებითი მექანიზმები, იმგვარად, რომ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს რეგულარულად მიუწვდებოდეთ ხელი მათ უფლებებსა და გასაჩივრების პროცედურის შესახებ ინფორმაციაზე, მაგალითად სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსდეს მშობელთა და მოსწავლეთა უფლებების ნუსხა, მათ შორის, მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლების და განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია.

ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლას მიეცა რჩევა მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს, მათ მშობლებს, კანონიერ წარმომადგენელს იმის შესახებ, რომ მათ აქვთ უფლება, გამოიხმონ თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე, მნიშვნელოვანია სკოლამ დანერგოს დამატებითი მექანიზმები, რომ მონაცემთა სუბიექტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მათი პერსონალური მონაცემები მყისიერად გასწორდეს ან წაიშალოს, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა დამუშავება უკანონოა ან აღნიშნული დამუშავება საფრთხეს უქმნის მონაცემთა სუბიექტის, ღირსებას, უსაფრთხოებას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რჩევა, შესაბამისი ექსპერტების ჩართულობით განიხილოს სკოლის შენობაში ლიფტის მოწყობის საკითხი და ტექნიკური შესაძლებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს ლიფტის მოწყობა ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.
ინდიკატორი N3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სკოლას მიეცა რჩევა სკოლის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებში, ამოიღოს ყველა ის რეგულაცია, საკანონმდებლო ნორმაზე მითითება რომელიც აწესრიგებს, მხოლოდ საჯარო სკოლის საქმიანობას და უფლებამოსილების ფარგლებს.
ინდიკატორი N3.7.1.2.	სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.	სკოლას მიეცა რჩევა ფინანსური რესურსის დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის სისტემის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, დანერგოს დამატებითი მექანიზმები რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ბიუჯეტის შედგენის მთელ პროცესში იმ მხარეების ჩართვას, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებული სკოლის ბიუჯეტიდან დაფინანსებული მომსახურების ხარისხით.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N4.1.1.3.	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.	სკოლას მიეცა რჩევა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით ამომწურავად განსაზღვროს მხარეთა ძირითადი უფლებები და მოვალეობები, მაგალითად

		მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში რა პასუხისმგებლობა აქვს სკოლას და რა მშობელს. მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების წესი და პირობები, უფლებათა დაცვის შიდა სასკოლო მექანიზმების გამოყენების საკითხები და სხვა.
ინდიკატორი N4.2.1.3.	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;	სკოლას მიეცა რჩევა დიაგნოსტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით უზრუნველყოს იმ მოსწავლეების გამოვლენა, რომლებსაც სირთულეები აქვთ კონკრეტული საგნის სამიზნე უნარებში და საჭიროებენ დამატებით ინტერვენციას. საჭიროების შემთხვევაში უნდა შედგეს რემედიაციის გრაფიკი, შემუშავდეს მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სათანადოდ ვერ ივითარებენ ფუნდამენტურ აკადემიურ უნარებს.
ინდიკატორი N4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაჩეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	სკოლას მიეცა რჩევა შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით პერიოდულად შეაფასოს გაჩეული მომსახურების შედეგები და მიღებული შეფასების შედეგები გამოიყენოს დაგეგმვის პროცესში.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა სასურველია კათედრაზე შემუშავდეს და დამტკიცდეს კურიკულუმის ჩარჩო, რომლითაც იხელმძღვანელებს კათედრის ყველა წევრი. უცხოური ენები სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილის კონკრეტული ფორმა/სტრუქტურა უცხოური ენის კათედრაზე შემავალი ყველა საგნისათვის და ერთიანი ფორმით წარმოადგინოს თითოეული საგნისა და კლასის კურიკულუმის ჩარჩო.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	მათემატიკა საკითხები დაკლასტერდეს საფეხურის ფარგლებში შესასწავლი თემების შესაბამისად. კერძოდ, IV კლასის მათემატიკის კურიკულუმში სასურველია საკითხების დაკლასტერება და თემების

ინდიკატორი 2.1.2.2	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	გადახედვა ეროვნული სასწავლო გეგმის, მათემატიკის სტანდარტით განსაზღვრული თემატური ბლოკებისა და თემების მიხედვით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, 1. დაწყებითი საფეხურის პირველი, მე-3, მე-4 კლასების კურიკულუმების ჩარჩოებში ყველა თემაში სრულად აისახოს ქვეცნებები. 2. პირველი კლასის კურიკულუმში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები (ზედმეტი ჩანაწერები, შეფერილობა და სხვა) სასურველია, მე-4 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში დაკორექტირდეს სამიზნე ცნებები და მოვიდეს შესაბამისობაში ეროვნული სასწავლო გეგმის 28-ე მუხლით განსაზღვრულ პრინციპებთან.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს .	უცხოური ენები სასურველია, 1. დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენისა და რუსული ენის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში, სამიზნე ცნებების სახელწოდებები დაზუსტდეს და გაიწეროს სტანდარტის შესაბამისად, ხოლო სამიზნე ცნება ჩაიშალოს ქვეცნებებად სასწავლო თემის შესაბამისად; 2. დაწყებითი საფეხურის V, VI კლასების ინგლისური და გერმანული ენების, ხოლო V კლასის რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, სადაც სასწავლო თემის შესაბამისად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, აღნიშნული დავალების ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება (მათ შორის კულტურათა დიალოგი) ან მიეთითოს რა სახით/ფორმით დამუშავდება სამიზნე ცნება-კულტურათა დიალოგი; 3. დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ინგლისური ენის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში, „კონტექსტმაგალითის“ / „მაგალითები შედარებისთვის“ ველში, სასურველია აისახოს მასალა რასაც მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეს „კონტექსტმაგალითის“ / „მაგალითები შედარებისთვის“ სახით კომპლექსური დავალების ფარგლებში/შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის	მათემატიკა 1. მათემატიკის IV კლასის კურიკულუმში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. 2. ყველა კურიკულუმს სრულყოფილად

	მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	მიეთითოს კონკრეტულად რომელი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს მიხედვითაა დამუშავებული (მაგ.სახელმძღვანელოს დასახელება, ავტორი, გამომცემლობა). საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, 1. დაწყებითი საფეხურის პირველი, მე-3, მე-4, კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში აისახოს დამატებითი სასწავლო რესურსები (მაგალითად, “მასწავლებლის წიგნი”, “მოსწავლის რვეული” და სხვა), ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები, ინტერნეტრესურსები, ელექტრონული რესურსები), აგრეთვე, სპეციალურად შემუშავებული რესურსები, მაგალითად, დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღწერები, პრეზენტაციები მომზადებული პრეზენტაციების მასალები და ა.შ. 2.სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში აისახოს ექსპერიმენტების/ცდების დასახელება ან/და ნუმერაცია, აგრეთვე მისი ფორმატი (რეალური ან ვირტუალური ექსპერიმენტი) ან/და მისი სახეობა (ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო ცდები, საშინაო ექსპერიმენტები და სხვა).
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის- კომპლექსურ დავალების ან/და კომპლექსური ბუნების დავალების და სხვა სახეობის დავალებების შეთავაზების დროს უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული მიდგომები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდა 1. დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მეტი ვალიდურობის, გამჭვირვალების და ობიექტურობისათვის სასურველია დაზუსტდეს- რა შემთხვევაში

		იწერება ესა თუ ის ქულა. 2. სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ჩანდეს ის ცნებები და ქვეცნებები, როლის შესწავლაც ხდება თემებში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 1. ყველა სასწავლო თემის ფარგლებში, ინდიკატორების საფუძველზე, საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით მომზადებული იქნეს დაწყებითი საფეხურის მე-5 კლასის მეორე თემის და მე-6 კლასის ბუნების საგნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.. 2. შეიქმნას შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების სამიზნე ცნებებზე.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს .	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, საბაზო საფეხურის ბიოლოგიის და ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოებში ყველა თემაში აისახოს ქვეცნებები.

ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხოური ენები სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილის კონკრეტული ფორმა/სტრუქტურა უცხოური ენის კათედრაზე შემავალი ყველა საგნისათვის და ერთიანი ფორმით წარმოადგინოს თითოეული საგნისა და კლასის კურიკულუმის ჩარჩო.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს .	უცხოური ენები სასურველია, 1. საბაზო საფეხურის ინგლისური, გერმანული ენების ყველა კლასის და ასევე, რუსული ენის VII, VIII კლასების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, სადაც სასწავლო თემის შესაბამისად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, აღნიშნული დავალების ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება (მათ შორის კულტურათა დიალოგი) ან მიეთითოს რა სახით/ფორმით დამუშავდება სამიზნე ცნება-კულტურათა დიალოგი სასწავლო თემის შესაბამისად; 2. საბაზო საფეხურის ინგლისური ენის ყველა კლასის და ასევე, რუსული ენის IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, სამიზნე ცნებების სახელწოდებები დაზუსტდეს და გაიწეროს სტანდარტის შესაბამისად, ხოლო სამიზნე ცნება ჩაიშალოს ქვეცნებებად სასწავლო თემის შესაბამისად; 3. საბაზო საფეხურის VII კლასის ინგლისური ენის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში, სასურველია, აისახოს ყველა სავალდებულო კომპონენტი, მათ შორის კომპონენტი „სასწავლო რესურსები“. 4. ასევე, „მაგალითები შედარებისთვის“ ველში, სასურველია, აისახოს მასალა რასაც მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეს „მაგალითები შედარებისთვის“ სახით კომპლექსური დავალების ფარგლებში/შესაბამისად. ესთეტიკური აღზრდა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი ბადის მიხედვით. VII, VIII, IX კლასებში მუსიკის საგანს ეთმობა ერთი კვირეული საათი, შესაბამისად გასათვალისწინებელია შესასწავლი საკითხების რეალისტური შერჩევა, სწავლის შედეგების მისაღწევად.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო	მათემატიკის 1. საბაზო საფეხურის VII და VIII კლასის კურიკულუმებში მიეთითოს ყველა ის სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში და

	რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. 2. ყველა კურიკულუმს სრულყოფილად მიეთითოს კონკრეტულად რომელი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს მიხედვითაა დამუშავებული (მაგ.სახელმძღვანელოს დასახელება, ავტორი, გამომცემლობა). საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, 1. მე-9 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოში მე-4 თემაში „უჯრედული მეტაბოლიზმი“ და მე-5 თემაში „სახეობა, პოპულაცია“, აისახოს დამატებითი სასწავლო რესურსები (მაგალითად, “მასწავლებლის წიგნი”, “მოსწავლის რეგული”), ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები, ინტერნეტრესურსები, ელექტრონული რესურსები), აგრეთვე, სპეციალურად შემუშავებული რესურსები, მაგალითად, დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღწერები, პრეზენტაციები და ა.შ. 2. სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მე-7, მე-8, მე-9 ბიოლოგიის, ფიზიკის მე-7 კლასის კურიკულუმებში მკაფიოდ აისახოს ექსპერიმენტების/ცდების დასახელება, ან/და ნუმერაცია, აგრეთვე მისი ფორმატი (რეალური ან ვირტუალური ექსპერიმენტი) ან/და მისი სახეობა (ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო ცდები, საშინაო ექსპერიმენტები და სხვა).
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, საბაზო საფეხურის- ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნებში შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის- კომპლექსურ დავალების ან/და კომპლექსური ბუნების დავალების ან/და სასწავლო პროექტების და სხვა სახეობის დავალებების შეთავაზების დროს უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული მიდგომები.

ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საზოგადოებრივი მეცნიერებები კათედრამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ბარათები, მათგან მხოლოდ რამდენიმეში იყო ასახული შეფასების კრიტერიუმები, სასურველია ყველა კომპლექსური დავალების ბარათში იქნას გათვალისწინებული შესაბამისი შეფასების რუბრიკა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სკოლას ეძლევა რჩევა, 1. სრულად მომზადდეს საბაზო საფეხურის- ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალების ან/და სასწავლო პროექტების და სხვა დავალებების შეთავაზების დროს). 2. საბაზო საფეხურის- ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნებში ყველა სასწავლო თემის ფარგლებში, ინდიკატორების საფუძველზე, საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით სრულად მომზადდეს ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. 3. შეიქმნას შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო -ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის საგნების სამიზნე ცნებებზე ესთეტიკური აღზრდა საბაზო საფეხურის ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მეტი ვალიდურობის, გამჭვირვალების და ობიექტურობისათვის სასურველია დაზუსტდეს- რა შემთხვევაში იწერება ესა თუ ის ქულა. ასევე, სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ჩანდეს ის ცნებები და ქვეცნებები, როლის შესწავლაც ხდება თემებში.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა

ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს .	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, საშუალო საფეხურის ბიოლოგიის მე-10, ფიზიკის მე-10 და მე-12 კლასების კურიკულუმებში ყველა თემებში სრულად აისახოს ქვეცნებები.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა სასურველია, გადაიხედოს X კლასის მათემატიკის კურიკულუმში თემის ფარგლებში დასაფარი სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები. უცხოური ენები სასურველია კათედრამ შეიმუშაოს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილის კონკრეტული ფორმა/სტრუქტურა უცხოური ენის კათედრაზე შემავალი ყველა საგნისათვის და ერთიანი ფორმით წარმოადგინოს თითოეული საგნისა და კლასის კურიკულუმის ჩარჩო.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს ;	უცხოური ენები სასურველია, 1. საშუალო საფეხურის გერმანული ენის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, სადაც სასწავლო თემის შესაბამისად განსაზღვრულია კომპლექსური დავალება, აღნიშნული დავალების ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება (მათ შორის კულტურათა დიალოგი) ან მიეთითოს რა სახით/ფორმით დამუშავდება სამიზნე ცნება-კულტურათა დიალოგი სასწავლო თემის შესაბამისად; 2. საშუალო საფეხურის ინგლისური ენის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, სასურველია, აისახოს ყველა სავალდებულო კომპონენტი; 3. საშუალო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, სამიზნე ცნებების სახელწოდებები დაზუსტდეს და

		გაიწეროს სტანდარტის შესაბამისად, ხოლო სამიზნე ცნება ჩაიშალოს ქვეცნებებად სასწავლო თემის შესაბამისად. საზოგადოებრივი მეცნიერებები სასურველია სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების კურიკულუმში აისახოს ის სასწავლო თუ სოციალური პროექტები და აქტივობები, რომელთა დაგეგმვისა და განხორციელების პრაქტიკაც/გამოცდილებაც საგნის მასწავლებელს აქვს.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 1. სასურველია, მე-10 და მე-12 კლასების ბიოლოგიის, მე-11 კლასის ფიზიკის, მე-12 კლასის ქიმიის კურიკულუმების ჩარჩოებში დაემატოს და დაკონკრეტდეს ბიბლიოგრაფიული სტილის შესაბამისად სასწავლო რესურსები. (მაგალითად, “მასწავლებლის წიგნი”, “მოსწავლის რვეული”), ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები, ინტერნეტრესურსები, ელექტრონული რესურსები), აგრეთვე, სპეციალურად შემუშავებული რესურსები, მაგალითად, დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღწერები, პრეზენტაციები და ა.შ. 2. სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მე-10, მე-12 კლასების ბიოლოგიის და ფიზიკის მე-11 კლასის კურიკულუმებში მკაფიოდ აისახოს ექსპერიმენტების/ცდების დასახელება, ან/და ნუმერაცია, აგრეთვე მისი ფორმატი (რეალური ან ვირტუალური ექსპერიმენტი) ან/და მისი სახეობა (ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო ცდები, საშინაო ექსპერიმენტები და სხვა).
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, საშუალო საფეხურის- ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნებში შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის- კომპლექსურ დავალების ან/და კომპლექსური ბუნების დავალების ან/და სასწავლო პროექტების და სხვა სახეობის დავალებების

		შეთავაზების დროს უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული მიდგომები.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ესთეტიკური აღზრდა სასურველია პროექტული სწავლების ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 1. სკოლას ეძლევა რჩევა, რომ სრულად მომზადდეს საშუალო საფეხურის- ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალების ან/და სასწავლო პროექტების და სხვა დავალებების შეთავაზების დროს). 2. სკოლას ეძლევა რჩევა, საშუალო საფეხურის- ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნებში ყველა სასწავლო თემის ფარგლებში, ინდიკატორების საფუძველზე, საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით სრულად მომზადდეს ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის საგნების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. 3. სკოლას ეძლევა რჩევა, შეიქმნას შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები, ორიენტირებული იქნება საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო -ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის საგნების სამიზნე ცნებებზე .
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	მათემატიკა სასურველია კურიკულუმებს მიეთითოს კონკრეტულად რომელი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს მიხედვითაა დამუშავებული (მაგ.სახელმძღვანელოს დასახელება, ავტორი, გამომცემლობა).

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის (შემდგომში- სკოლა) მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიას მოსწავლეებს შეუქმნას ინკლუზიაზე, კეთილგანწყობაზე პიროვნულ განვითარებაზე, ეთიკურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სოციო-კულტურული უსაფრთხო სასწავლო გარემო, აღზარდოს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარის მქონე, წიგნიერი, პროგრესულ სიახლეთა მიმდები მოქალაქე, მოამზადოს მოსწავლეები „ციფრული მოქალაქეობის“ უნარით და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებით, თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში დამოუკიდებელი კონკურენტუნარიანი ცხოვრებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება.**
2. სკოლის მისიასა და ხედვაში იკვეთება სკოლის როლი, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით), რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. შესაბამისად სკოლაში არის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცე. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის SWOT ანალიზი დამტკიცებულია 2024 წლის 01 სექტემბერს (პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1 01.09.2024 წ.), ხოლო სკოლის ფილოსოფიის (მისიის ხედვის ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცებულია 2024 წლის 19 სექტემბერს (სკოლის დირექტორის ბრძანება N 02/376 19.09.2024წ), ხსენებული დოკუმენტები დამტკიცებულია მას შემდეგ რაც სამუშაო ჯგუფმა დაასრულა სკოლის ფილოსოფიაზე მუშაობა.

აღნიშნული გარემოება სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესის არათანმიმდევრულად დაგეგმვასა და წარმართვაზე მიუთითებს.

სკოლის SWOT ანალიზის შესწავლით დგინდება, რომ დოკუმენტი არასათანადოდ ასახავს, სკოლის საქმიანობაზე უკვე არსებულ და შესაძლო დადებით და უარყოფით გავლენის ფაქტორებს, არ იკვეთება მათ შორის კავშირები. სკოლას მიეცა რჩევა სათანადოდ შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, გაანალიზოს გარემო შესაძლებლობები, იცოდეს რა საფრთხეები ემუქრება, რათა ადეკვატურად იქნეს განსაზღვრული ორგანიზაციის შესაძლებლობები და არსებული გამოწვევების საპასუხოდ დაგეგმილი იქნას სათანადო ღონისძიებები.

სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად იკვეთება, სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. ინდიკატორი შეესაბამება.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლამ მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება უზრუნველყო სამუშაო ფორმატში. სკოლაში დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო საშუალებები: ა) სკოლის ვებ-გვერდი; ბ) სოციალური ქსელი; გ) საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ინდიკატორი შეესაბამება.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ძირითად დოკუმენტებში (სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრატეგიული განვითარების გეგმა) და სკოლის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის საჯარო ხელმისაწვდომობას. ინდიკატორი შეესაბამება.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ინდიკატორი შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- სასკოლო საზოგადოების საერთო კრების ოქმი;
- სკოლის ფილოსოფიის (მისიის ხედვის ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 19 სექტემბრის N 02/376 ბრძანებით დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტით, იფარება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლის დირექტორის (ბრძანება N 02/23 07.09.2023 წ.) მიერ დამტკიცებულია სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზანს და მიზნის მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, შედგენილია 7 წლიან პერიოდზე (2023-2030 წწ.).

სტრატეგიული გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და დგინდება აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობა. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

სტრატეგიული გეგმით არ არის განსაზღვრული მიზნის მიღწევის ინდიკატორები. ინდიკატორი წარმოადგენს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების შემოწმების საშუალებას. ინდიკატორი უნდა ქმნიდეს მონიტორინგისა და შეფასებისთვის საჭირო ამომწურავი ინფორმაციის ბაზას, უნდა იყოს გაზომვადი, კონკრეტული და ამოცანების შესაბამისი. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა მკაფიოდ განსაზღვროს ის ობიექტური გარემოებები, რომელიც დაადასტურებს, სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევას, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგების სათანადო შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილია 2024-2025 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოდის შესაბამისობაში სკოლის 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმასთან. ინდიკატორი შეესაბამება.

4. სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში (2024-2025 წწ) განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები. ინდიკატორი შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი;
- სკოლის გრძელვადიანი (2023-2030 წწ) სტრატეგიის დოკუმენტი;
- სკოლის სამოქმედო გეგმა (2024-2025 წწ).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ აღნიშნული დოკუმენტის მე-12 თავში აღნიშნულია, რომ სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ -იანვარში და ივლისში, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს

არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში წელიწადში ერთხელ. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლის დირექტორის მიერ სკოლის ფილოსოფიის (მისიის ხედვის ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცებული იქნა 2024 წლის 19 სექტემბრის N 02/376, ბრძანებით. მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლამ სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება უნდა განახორციელოს წელიწადში ორჯერ -იანვარში და ივლისში, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება კი უნდა განახორციელოს სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში წელიწადში ერთხელ.

ვინაიდან სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების ვადები ჯერ არ არის დამდგარი, სკოლას აღნიშნული პროცესი განხორციელებული ვერ ექნებოდა.

სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ეფექტიანობისთვის მეთოდოლოგიით დადგენილ წესით განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგი და შეფასება. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების შედეგები უკეთ წარმოაჩენს დაგეგმვის პროცესის ხარისხს, არსებულ გამოწვევებსა და ნაკლოვანებებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. ვინაიდან, სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების ვადები ჯერ არ არის დამდგარი, სკოლას აღნიშნული პროცესი განხორციელებული ვერ ექნებოდა. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. ვინაიდან, სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების ვადები ჯერ არ არის დამდგარი, სკოლას აღნიშნული პროცესი განხორციელებული ვერ ექნებოდა. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი;
- სკოლის გრძელვადიანი (2023-2030 წწ) სტრატეგიის დოკუმენტი;
- სკოლის სამოქმედო გეგმა (2024-2025 წწ);

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი იქნა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განსაზღვრის შესახებ დოკუმენტი, რომლითაც მკაფიოდაა განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების/პირების უფლებამოსილების ფარგლები. ინდიკატორი შეესაბამება.

2. სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი იქნა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განსაზღვრის შესახებ დოკუმენტი, რომლითაც მკაფიოდაა განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების/პირების უფლებამოსილების ფარგლები, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის სტრუქტურისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2022 წლის 07 სექტემბრის N01/17 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში პერსონალის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ

საკითხებს. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მიზნებია: სკოლაში მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვა, შერჩევა და შენარჩუნება.

პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით დგინდება, რომ სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები საჭიროებს დახვეწას, კერძოდ შრომითი ხელშეკრულება არ შეიცავს ჩანაწერს იმის თაობაზე რომ შრომის შინაგანაწესი შრომითი ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია, ცალკეული შრომითი ხელშეკრულება (მაგ:N 05/119 15.09.2023 წ) არ შეიცავს ჩანაწერს შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ, დასაქმებულთა პირად საქმეში არ ინახება ხელწერილი შრომის შინაგანაწესის გაცნობის თაობაზე. ცალკეულ დასაქმებულებთან, რომელთაც სკოლასთან შრომითი ურთიერთობის ვადა უკვე 30 თვეზე მეტი აქვთ, გაფორმებულია ვადიანი შრომითი ხელშეკრულება.

სკოლას მიეცა რჩევა შრომით ხელშეკრულებით მკაფიოდ განსაზღვროს მხარეთა უფლება-მოვალეობები, შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შრომის შინაგანაწესი განსაზღვროს შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, დასაქმებულების ხელწერილით დაადასტუროს შრომის შინაგანაწესი გაცნობის ფაქტი, ხოლო შემდეგ მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.

სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი იქნა შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. შიდა სასკოლო დოკუმენტებით დარეგულირებული პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები, კერძოდ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ჩანაცვლებას ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, რაც უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. შერჩევითი შემთხვევის პრინციპით შესწავლილი იქნა სკოლის მიერ გამოცხადებული ღია კონკურსები, რის შედეგადაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებას

ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით.

სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი იქნა დასაქმებულთა სახელზე გაცემული ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ. ინდიკატორი შეესაბამება.

4. სკოლის პერსონალის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 აგვისტოს N 02-297 ბრძანებით. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია, გარდა მასწავლებლებისა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სკოლას მოწვეულ მასწავლებლად შრომითი ხელშეკრულებებით (შრომითი ხელშეკრულება N 05/230, 05/234 და N05/232 გაფორმების თარიღი 16.09.2024) დასაქმებულები ჰყავდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ხელოვნების და ჭადრაკის პედაგოგები რომელთაც ჰქონდათ 9 საგაკვეთილო საათზე მეტი კვირეული დატვირთვა, რაც წინააღმდეგობაში მოდის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ღ“ პუნქტთან, რომლის თანახმადაც „ მოწვეული მასწავლებლის სამუშაო დატვირთვაა არაუმეტეს მასწავლებლის სრული დატვირთვისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საგაკვეთილო საათების 50 პროცენტისა.“

ინდიკატორი არ შეესაბამება.

5. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მართვა ხორციელდება მონაწილეობით, რაც გულისხმობს პერსონალის ჩართულობას და თანამშრომლობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში. სკოლის პედაგოგები მონაწილეობას იღებენ სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში, პედაგოგიური საბჭოს საქმიანობაში, რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობის განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

6. სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკის ცალკეული მაგალითები და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში. წარმატებული გამოცდილების კოლეგებისათვის გაზიარება საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ არსებულ გამოცდილებას, დასვან კითხვები, მიიღონ პასუხები, მოტივირდნენ კონსტრუქციული, პოზიტიური უკუკავშირით და აღიარებით. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;

- სკოლის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სკოლის პერსონალის პირადი საქმე;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანებები;
- ღია კონკურსის მასალები.
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები მოცემულია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტში. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის თანახმადაც პროფესიული განვითარება ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავებას და გაუმჯობესებას აღნიშნული გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:

ა) პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას სამუშაოს კატეგორიის ცალკეული ფუნქციის თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე;

ბ) გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/ დაგეგმვას;

გ) მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას.

სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და ამ პროცესების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები. სკოლის დირექციის განმარტებით აღნიშნული პროცესები დანერგვის ეტაპზეა. სკოლას მიეცა რჩევა უფრო მეტად შეუწყოს ხელი და შექმნას შესაბამისი პირობები სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის. აღსანიშნავია, რომ სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხის მნიშვნელობა ხაზგასმულია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტში, რომლის მიხედვით, ყველა სტატუსის მასწავლებლის მოვალეობაა კოლეგებთან თანამშრომლობა თვითგანვითარებისა და ურთიერთგანვითარების მიზნით, მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-13 მუხლი არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში, ხელს უწყობს პედაგოგების მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლის დირექციასთან, გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ახალმოსულ თანამშრომელს აწვდის ინფორმაციას მის სამუშაო პოზიციასა და როლთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, ასევე რა მოლოდინი აქვს მისგან ორგანიზაციას და რა ჩაითვლება სამუშაოს კარგად შესრულებაში. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელს, რომ თავი იგრძნოს ღირებულად, გაუჩნდეს მიკუთვნებულობის განცდა ორგანიზაციისა და მისი ღირებულებების მიმართ, რაც თავის მხრივ ზრდის თანამშრომლის

კმაყოფილებისა და მოტივაციის დონეს. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-5 თავი არეგულირებს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

5. სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის მიერ დადგენილი მექანიზმების თანახმად თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით;
- სკოლის პერსონალის შეფასების ფორმები;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 აგვისტოს N02/299 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც ადგენს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს. დოკუმენტის მიზანია: ა) შექმნას ერთიანი პოლიტიკა, სახელმძღვანელო სტანდარტები, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას. ბ) ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, გარე აქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზება და გარე შეფასების ხელშეწყობა.

ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შედგენილია 2024-2025 წწ სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმადაც ხარისხის მართვის მენეჯერმა უნდა უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასება, მონიტორინგი, შედეგების ანალიზი და სკოლის განვითარების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული პროცესების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სასურველია სკოლამ უფრო მეტი ქმედითი ღონისძიებები განახორციელოს პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა გაუმჯობესების მიზნით. სკოლას მიეცა რჩევა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელებასა და შეფასების პროცესებში ჩართოს ყველა დაინტერესებული მხარე, მაღალი ჩართულობა გაზრდის მიმდინარე პროცესების საჯაროობას, ეფექტიანობას და შედეგზე ორიენტირებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სკოლის ინსტიტუციურ განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება.

2. სკოლის მიერ იდენტიფიცირებული საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესები, კერძოდ მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სასკოლო სასწავლო გეგმით და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია განცხადების/საჩივრის განხილვის შესახებ დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით), პროცედურა ითვალისწინებს საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას თუკი მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს და სკოლის პერსონალს მიაჩნიათ, რომ სკოლის მხრიდან ირღვევა მათი უფლებები ან/და არასწორად იქნა გამოყენებული საქართველოს კანონმდებლობა. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, განცხადების/საჩივრის განხილვის შესახებ დოკუმენტში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ უფლებების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირების არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების სათანადო ინფორმირებულობას, მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლებისა და განხილვის პროცედურის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე **სკოლას მიეცა რჩევა**, დანერგოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დამატებითი მექანიზმები, იმგვარად, რომ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს რეგულარულად მიუწვდებოდეთ ხელი მათ უფლებებსა და გასაჩივრების პროცედურის შესახებ ინფორმაციაზე, მაგალითად სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსდეს მშობელთა და მოსწავლეთა უფლებების ნუსხა, მათ შორის, მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლების და განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;
- განცხადების/საჩივრის განხილვის შესახებ დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის ოფიციალურ სოციალურ გვერდებს. სკოლის მიერ სოციალური გვერდის საშუალებით ვრცელდება მართვის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია და აღნიშნული საშუალებით ხდება უკუკავშირის მიღება. სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომლითაც დარეგულირებულია მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვის საკითხები.

ინდიკატორი შეესაბამება

2. სკოლაში მოქმედებს კოლეგიური ორგანო პედაგოგიური საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია შიდა სასკოლო მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი იქნა დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება მოსწავლეთა კოლეგიური ორგანოს (თვითმმართველობა) შექმნა.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ.გვერდი

- სკოლის სტრუქტურა
- მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის მასალები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს:

- ა) უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ბ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნა.
- გ) „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას კონტრაქტორ კომპანიასთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით.

სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლამ 2024 წლის 01 აგვისტოს N933376 წერილით მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) , რომლითაც მოთხოვნილი იქნა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების პროექტის შეთანხმება, სკოლას სამინისტრომ დაუდგინა ხარვეზი, რის გამოც დოკუმენტის შეთანხმების პროცესი არ არის დასრულებული.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც ზემოაღნიშნული დოკუმენტების მოპოვებას გეგმავს 2024 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს:

- ა) უფლებამოსილი უწყების მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
- ბ) უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების შეთანხმება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან

(საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა) - ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას, სკოლის შენობის პირველ სართულზე კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განთავსებულია ექიმის კაბინეტი. სკოლას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექიმი და ექთანი, შემუშავებულია პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლაში უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წესრიგი, თუმცა სკოლას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით არ აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ დოკუმენტი შეთანხმებული სამინისტროსთან, შესაბამისად სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით ვერ გამოიყენებს იმ პროცედურებს, რაც გათვალისწინებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის.

სკოლამ წარმოადინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ დოკუმენტის ამოქმედებას გეგმავს 2024 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს:

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმება, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცება და თანმდევი სათანადო ღონისძიებების განხორციელება. **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. მშობლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სკოლაში სათანადოდაა დაცული მოსწავლის ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ ემოციური უსაფრთხოება. ძალადობა (მისი ნებისმიერი ფორმით გამოვლინება) – არის აღმოფხვრილი, სკოლაში გარეშე პირთა შემოსვლის პროცესი და მოსწავლეთა მიერ სკოლის ტერიტორიის დატოვების პროცესი არის – გაკონტროლებული, ამასთან მოსწავლეთა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, შემუშავებულია სათანადო მექანიზმები.

სკოლის მიერ არ არის შემუშავებული ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმების შესახებ, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ მე-6 მუხლის მე-7 პუნქტთან.

ინდიკატორი არ შეესაბამება

5. სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სანიტარული კვანძი მოწყობილია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი.

ინდიკატორი შეესაბამება

6. სკოლასა და კონტრაქტორ კომპანიას შორის გაფორმებულია შეთანხმება პერსონალურ მონაცემთა დაცვის თაობაზე მომსახურების გაწევის შესახებ, რაც მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას.

სკოლას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით:

ა) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია პროაქტიულად გამოქვეყნებული აქვს სკოლის ვებ-გვერდზე;

ბ) ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ-გვერდზე.

სკოლას მიღებულია აქვს მოსწავლის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე, მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი წესით.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები.

სკოლას მიეცა რჩევა მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს, მათ მშობლებს, კანონიერ წარმომადგენელს იმის შესახებ, რომ მათ აქვთ უფლება, გამოიხმონ თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე, მნიშვნელოვანია სკოლამ დანერგოს დამატებითი მექანიზმები, რომ მონაცემთა სუბიექტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მათი პერსონალური მონაცემები მყისიერად გასწორდეს ან წაიშალოს,

განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა დამუშავება უკანონო ან აღნიშნული დამუშავება საფრთხეს უქმნის მონაცემთა სუბიექტის, ღირსებას, უსაფრთხოებას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, გაითვალისწინოს და დაიცვას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები. მონაცემთა სუბიექტს, განსაკუთრებით თუკი მონაცემთა სუბიექტი არასრულწლოვანია, მიაწოდოს ინფორმაცია მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

7. სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რომლის შესრულების შემთხვევაშიც უზრუნველყოფილი იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვა. **ინდიკატორი შეესაბამება.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების საკითხებში მომსახურების გაწევის შესახებ;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების შესახებ დებულების პროექტი;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი;
- ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის თაობაზე მომსახურების გაწევის შესახებ.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საკუთრებაშია ერთმანეთთან დაკავშირებული 1780 კვ.მ და 1523.92 კვ.მ შენობა-ნაგებობები , 1842 კვ.მ მიწის ფართობით. სკოლის შენობა არის კეთილმოწყობილი. სკოლას აქვს დახურული სპორტული და სააქტო დარბაზი. ცალკე სივრცე სასადილოსთვის.

სკოლის მატერიალური რესურსი, იძლევა საშუალებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობის სისტემა, წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ

საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება.

ინდიკატორი შეესაბამება

2. სკოლისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობა. სკოლის წარმომადგენლის მოსაზრებით, ხელმისაწვდომობა გულისხმობს ღიაობას, გამჭვირვალობას და მიუკერძოებლობას სასკოლო საზოგადოების განურჩევლად ყველა წევრისთვის დაწესებულების ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით სარგებლობისას. ხელმისაწვდომობა რესურსებზე ასევე, მნიშვნელოვანი მოტივატორია მასწავლებლებისთვის, სასკოლო გარემოში მეტი დრო დაუთმონ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ ან ჯგუფურ მუშაობას.

ინდიკატორი შეესაბამება

3. სკოლაში განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და წიგნადი ფონდით. სკოლის მიერ დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება. სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობას ორგანიზებას, განსაზღვრული სერვისების მიწოდებას სასკოლო საზოგადოებისთვის უზრუნველყოფს სკოლის ბიბლიოთეკარი.

ინდიკატორი შეესაბამება

4. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა ბავშვს შეეძლება თავისი შესაძლებლობების გამოვლენა. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. კიბეებზე ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილებისთვის, სკოლას აქვს ასაწყობი პანდუსი. სკოლას მიეცა რჩევა, შესაბამისი ექსპერტების ჩართულობით განხილოს სკოლის შენობაში ლიფტის მოწყობის საკითხი და ტექნიკური შესაძლებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს ლიფტის მოწყობა ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება

5. მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად აქვთ კეთილმოწყობილი ეზო, სააქტო დარბაზი, საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებით, დაფებით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსით უზრუნველყოფილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მოსწავლეები მართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს, ღონისძიებების ამსახველი მასალები (ფოტოები, მოსწავლეთა ნამუშევრები) განთავსებულია სასწავლო სივრცეებში.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა;
- სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება;
- ბიბლიოთეკართან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის შენობაში განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორი შეესაბამება

- სკოლაში მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ის, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ შემუშავებულია მატერიალური რესურსის გამოყენების/სარგებლობის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით). **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

- სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
- სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
- სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 აგვისტოს N 02-319 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მატერიალური დოკუმენტბრუნვის ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. აღნიშნული წესი აზუსტებს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირება, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება. **სკოლას მიეცა რჩევა** სკოლის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებში, ამოიღოს ყველა ის რეგულაცია, საკანონმდებლო ნორმაზე მითითება რომელიც აწესრიგებს, მხოლოდ საჯარო სკოლის საქმიანობას და უფლებამოსილების ფარგლებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მართვაში, ჟურნალის წარმოება, პერსონალის პირადი საქმის წარმოება და ა.შ გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება მატერიალური სახით და საქმისწარმოება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით არ წარმოებს.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვას გეგმავს 2024 წლის 20 დეკემბრიდან.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში **უზრუნველყოს: დოკუმენტბრუნვის (საქმისწარმოების) ელექტრონული სისტემის დანერგვა. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება.**

3. სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის „ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N08/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის დირექციის, საქმისმწარმოებლის განმარტებით დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. აღნიშნული პროცესების წარმართვის ცალკეული საკითხები დარეგულირებულია საქმისწარმოების წესით. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ვებ.გვერდის, სოციალური ქსელების და სხვა კომუნიკაციების არხების მეშვეობით სათანადოდ ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას, სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და საგანმანათლებლო სერვისების შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება**
2. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, სკოლის ვებ.გვერდის ანალიზით დგინდება რომ, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლოს საქმიანობის შესახებ არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დადასტურებას. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ინფორმაციის მართვადობა. **ინდიკატორი შეესაბამება**
3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 აგვისტოს N 02/313 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის სახეებს, ურთიერთობის ფორმებსა და პროცედურებს. სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებული ინფორმაციის ანალიზისა და ავტორიზაციის ვიზიტის დროს სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენოს არსებული საკომუნიკაციო არხები, ამასთან საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შეესაბამება**
4. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**
5. სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებულია: საკონტაქტო ინფორმაცია, მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, სკოლის შინაგანაწესი. სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია/ანგარიში სკოლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ.გვერდი - mtschool.ge;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
